

მონაწილეობითი სათათბირო დემოკრატია - ტუნისში ჩატარებული ტრენინგის მთავარი თემა

2022 წლის ზაფხულის დასაწყისს, ივლისის ბოლოს, ქალაქ სუსში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ALDA) გენერალურმა მდივანმა - ანტონელა ვალმორბიდამ - ჩაატარა ტრენინგის მეორე სესია თემაზე "მონაწილეობითი სათათბირო დემოკრატია". ტრენინგზე წარმოდგენილი იყვნენ მონაწილეები ტუნისის ქალაქ კაირუანიდან და მაჰდიიდან. 2021 წლის ოქტომბერში, ჩატარებული წინა სესიის შემდეგ, აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს კაირუანისა და მაჰდიას მუნიციპალური საბჭოების მიერ არჩეულმა თანამდებობის პირებმა, ორივე მუნიციპალიტეტის ტექნიკურმა პერსონალმა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების აქტორებმა.

ტრენინგები, რომელიც ჩატარდა [პროექტის AUTREMENT](#)-ის ფარგლებში, ორიენტირებული იყო მოქალაქეთა ღონისძიებების ორგანიზების ინსტრუმენტების მიწოდებაზე, სტრასბურგის "Marché de Noel" -ის და ვიჩენცას "Festival Biblico" -ს ორივე შემთხვევის შესწავლის გათვალისწინებით. პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი მმართველობის შესახებ შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერას ტუნისის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისთვის.

მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა მონაწილეობითი სათათბირო დემოკრატიის მეშვეობით

ქალბატონმა ვალმორბიდამ წარადგინა სხვადასხვა ვარიანტები, თუ როგორ უნდა შეიქმნას უსაფრთხო გარემო დიალოგისა და ინფორმაციის გაცვლისთვის ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების აქტორებსა და არჩეულ თანამდებობის პირებს შორის. სავარჯიშოების, კითხვა-პასუხის სესიებისა და დებატების საშუალებით, ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა გააჟღერეს ის გამოწვევები, რომლებსაც ჩვეულებრივ აწყდებიან თავიანთი აქტივობების განხორციელების დროს ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისას. ანალოგიურად, არჩეულმა თანამდებობის პირებმა გასცეს პასუხები მათ შეკითხვებს და მიაწოდეს მეტი ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც არეგულირებს მათ ქმედებებს.

კონკრეტულ და ადგილობრივ მაგალითზე დაყრდნობით, ტრენინგი დასრულდა საგზაო რუქის შექმნით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მომავალში ისეთი ღონისძიებების დასაგეგმად, როგორცაა „The Moulded Festival“. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ ტარდება არდადეგების დროს და ეძღვნება ისლამის წინასწარმეტყველის, მუჰამედის დღესასწაულს. ამრიგად, ეს ფესტივალი კაირუანში არის შესაძლებლობა მცირე მეწარმეებისთვის და შემოქმედი ადამიანებისთვის წარმოაჩინონ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა და ხელი შეუწყონ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

ტრენინგით გათვალისწინებული მოდული ეხებოდა ფესტივალთან - "The Moulded Festival"- დაკავშირებული მოულოდნელი გამოწვევების გამკლავების გზებს და ხაზს უსვამდა პროექტის AUTREMENT-ის დადებით გავლენას. ტრენინგებიდან გამომდინარე, მთავარმა და გადამწყვეტმა აქტორებმა უნდა გაზარდონ ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობები და გაცვალონ საუკეთესო პრაქტიკა ტუნისის ადგილობრივ თემებში.

პროექტი AUTREMENT ეხება მდგრადი ურბანული მობილობისა და დაგეგმვის გამოწვევებს ტუნისის ქალაქებში კაირუანსა და [მაჰდიამი](#). ასევე, პროექტი ორიენტირებულია ამ ორი ქალაქის მუნიციპალიტეტებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორების შესაძლებლობების გაზრდაზე ღონისძიებების ორგანიზებისა და მოქალაქეებთან დიალოგის დამყარების გზით.